საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 86

2018 წ. "25" 07

ქ. თბილისი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №29 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ლევან გორდეზიანი

მდივანი
ნინო ჩანადირი